



ა(ა)იპ – ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და  
ა(ა)იპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის

## მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ.თბილისი

.. 29 .. .. 01 .. 2013 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სრული პროფესორის მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, სრული პროფესორის ჯონი აფაქიძის სახით, ისწრაფვიან რა, ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ ახალგაზრდა თაობების განათლებისა და დახელოვნების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის საჭიროებას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

### მუხლი 1

მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა და სასწავლო/სამეცნიერო სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გზით თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

### მუხლი 2

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ:

- სამეცნიერო კვლევების ჩატარება;
- სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება;
- სამეცნიერო ულრნალის მომზადება და გამოქვეყნება;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
- მემორანდუმის მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძიებების განხორციელება.

### მუხლი 3

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები განისაზღვრება მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

### მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით.

### მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

### მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

### მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი

ა(ა)იპ – სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

ქ. თბილისი ანა პოლიტკოვსკაიას ქ 9  
I კორპუსი

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

რექტორი

სრული პროფესორი:

სრული პროფესორი:

მერაბ ბერიძე



ჯონი აფაქიძე

